

საქართველოს ეკონომიკაში კულტურის ინტეგრაციის შესაძლებლობები-

ირაკლი ყიფიანი, გიორგი პაპავა, ეკონომისტები

პირველი მნიშვნელოვანი საკითხი რომელსაც გვინდა რომ ხაზი გავუსვათ არის ის ფაქტი, რომ კულტურა და კრეატიულობა ფაქტობრივად აღარ გაიმიჯნება ერთმანეთისაგან ეკონომიკაში და გარკვეულწილად ერთმანეთის შემავსებლადაც კი არიან მოაზრებულნი. რადგან ცნება რომელიც გულისხმობს კრეატიულ ეკონომიკას, საწყისით დაკავშირებულია კულტურის ეკონომიკასთან, რომელიც განიმარტება კონკრეტული, კულტურასთან დაკავშირებული საქონელის, სერვისების და კულტურასთან დაკავშირებული დოვლათის შექმნასთან.

კრეატიული ინდუსტრია, თავისი შინაარსით არის ინდუსტრია, რომელიც განმარტავს კრეატიულობის შეტანას კომერციულ მასალაში. კულტურული ინდუსტრია არის კომერციულად მიმზიდველი და მომგებიანი. საბოლოოდ კულტურული ინდუსტრიის და კრეატიული ინდუსტრიის ნაზავი, ანუ ის რაც უნდა გავიდეს ბაზარზე და პროდუქტი რომელიც უნდა გაიყიდოს, ერთიანდება კოპირაით ინდუსტრიაში. საინტერესოა თუ სად ვართ ჩვენ ამ მიმართულებით, რამდენად არის დაცული კოპირაით უფლებები ჩვენ ქვეყნაში რა გამოწვევების წინაშე უნდა ვიყოთ.

კულტურული ეკონომიკა როგორც ავლნიშნეთ საკმაოდ დიდი ცნებაა და ძალიან ბევრ სფეროსთან გააჩნია თანაკვეთა, ესენია: ტურიზმი, აგრარული მიმართულება, ტექნოლოგია, ზოგადად პროდუქციის წარმოება და აშ. ტურიზმის მიმართულებით მაგალითად კულტურული ტურიზმის მიმართულებით, აგრარული მიმართულებით ეს არის ქართული სამზარეულო, აგროტურები და აშ. რაც კვლავ დახვეწის და განვითარების ეტაპზეა.

მანამ, სანამ გადავალთ უშუალოდ სტატისტიკაზე მინდა შევეხო იმ ფაქტს, რომ კულტურული ეკონომიკის მიმართულებით არსებობს არა უბრალოდ კვლევები, არამედ დეპარტამენტები, სკოლები და სადოქტორო პროგრამები, რაც ფაქტობრივად

ამლევს სახელმწიფოს იმის იდენტიფიცირების საშუალებას თუ როგორ უნდა წარმართოს პოლიტიკა. მწამს რომ სამინისტრო არ არის ის ერთადერთი დაწესებულება რომელიც ხშირად იდენტიფიცირდება კვლევებში მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულება არის ამის პოტენციალი სადაც, უნდა ხდებოდეს მსგავი ტიპის დეპარტამენტების და სასწავლო პროგრამების გაჩენა რომ რეალურად კლებამ გააჩინოს ბაზარზე მოთხოვნა და იდენტიფიცირება მოახდინოს იმ მიმართულებების რომლებიც არის საინტერესო. კულტურული ეკონომიკის მიმართულებით მუშაობენ საუკეთესო უნივერსიტეტები, რომლებიც წამყვან პოზიციაზე არიან, ესენია ძირითადად ამერიკული უნივერსიტეტები, თუმცა აქვე არიან იტალიის საფრანგეთის და სხვა ევროპის უნივერსიტეტები. რაც ნიშნავს რომ ამ სფეროს განვითარება დაკავშირებულია პირველ რიგში კვლევების განვითარებასთან.

2013 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კრეატიულობისა და კულტურის მიმართულებით შეიქმნა 2,25 ტრილიონი ამერიკული დოლარის დოვლათი, რომელიც შექმნა 30-მა მილიონმა ადამიანმა. იმის გასააზრებლად თუ რეალურად ეს ციფრი რა ზომის აღმნიშვნელია, ვიტყვით რომ იგი გაცილებით მეტია ვიდრე ინდოეთის მთლიანი შიდა პროდუქტი, ასევე რუსეთის და კანადის შიდა პროდუქტი. რაც საბოლოოდ ნიშნავს რომ საუბარი გვაქვს ძალიან დიდ ინდუსტრიაზე, რომლის რესურსების გამოყენებაც ზალიან მნიშვნელოვანია. ჯამში ის დოვლათი რომელსაც ქმნის კულტურა და კრეატიულობა მსოფლიო შიდა პროდუქტის სამ პროცენტს შეადგენს.

2013 წლის მონაცემებით ამ 2,25 ტრილიონი ამერიკული დოლარის უმეტესი ნაწილი, თითქმის 60 პროცენტზე მეტი მოდის ევროპისა და აზიის ქვეყნებზე, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობით კი კიდევ უფრო საინტერესო ვართ რადგან ევროპა და აზია არის სწორედ ის მნიშვნელოვანი სივრცეები, რომლებიც ამ სამი პროცენტის დიდი ნაწილს ითვისებენ.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად ზოგადად დასაქმებულთა საერთო რაოდენობა ევროპაში 2008- 2012 წლებში მცირდებოდა, რაც განპირობებული იყო 2008 წელს ევროკავშირში დაწყებული ფინანსური კრიზით, თუმცა მიუხედავად იმისა კრეატიული ეკონომიკა იყო დარგი სადაც დასაქმებულთა რაოდენობა მიუხედავად ამ კრიზისული პროცესებისა იზრდებოდა.

რაც ნიშნავს რომ მდგრადი ეკონომიკის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს კულტურული და ინოვაციური ელემენტების წამოწევა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში და ამ მიმართულებით ეკონომის შექმნა, იმიტომ რომ მიუხედავად რეცესიისა და საგარეო ფაქტორებისა, ეს არის დარგი, რომელშიც აღნიშნული კრიზისის დროს არამარტო იზრდებოდა სამუშაო ადგილების რაოდენობა არამედ მასში შექმნილი პროდუქტი გადიოდა ექსპორტზე.

რაც შეეხება სარგებელს რომელსაც ღებულობს განვითარებადი ტიპის ქვეყნები, ჩვენ ფაქტობრივად ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში რადგან არ ხდება ამ მონაცემების დამუშავება, მაგრამ ზოგადად განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში 2000 დან 2005 წლის ჩათვლით ფაქტობრივად 55 %-ით გაიზარდა ამ სექტორში ექსპორტის მაჩვენებელი. ძირითადად ეს არის აზია, აზიურმა ქვეყნებმა 115%-ით გაზარდეს ექსპორტის წილი, კულტურისა და ინოვაციების მიმართულებით. ამ შემთხვევაში ინოვაციის როლი არის ძალიან დიდი რადგან ნებისმიერი პროდუქტი რომელსაც ჩვენ ვქმნით, სწორედ ინოვაცია განაპირობებს მივცეთ მას დამატებითი ღირებულება. კულტურას დამატებული ინოვაცია არის ის რაც მის ფასს ზრდის.

ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებების კუთხით შეგვიძლია რამდენიმე ფაქტორს გავუსვათ ხაზი: ერთ-ერთი არის რეგულაციები ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ტიპის რეგულაციები ჩვენ ქვეყანაში იყოს დახვეწილი. გამომდინარე იქიდან რომ, კულტურული მემკვიდრეობა ხშირ შემთხვევაში როგორც public good-ისეა

მოცემული ჩვენს რეალობაში შესაბამისად მოტივაცია იმისა, რომ ბიზნესმა ნებისმიერი პროდუქტი შეფუთოს და გამოიყენოს როგორც ინოვაციური პროდუქტი, პირველ რიგში საკუთრების უფლებით უნდა იყოს მნიშვნელოვნად დარეგულირებული. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით ჩვენი ქვეყანა იმყოფება 101- ე ადგილას, რაც მიანიშნებს რომ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ამ მიმართულებით არის კონონმდებლობის დახვეწა, რათა ბიზნეს სექტორმა ინოვაციების შექმნის და დაპატენტების მიმართულებით თავი იგრძნოს დაცულად. რაც დღეს არ არსებობს და რეალურად გამოწვევას წარმოადგენს.

მეორე მთავარი გამოწვევა, ლოკალური ინფრასტრუქტურული სისტემების მოწესიგება და მოწყობაა, რა მიმართულებითაც მსოფლიოში 61-ე ადგილზე ვიმყოფებით. ძირითადი კულტურული მემკვიდრეობები რომლებიც განფენილია ქვეყნის მასშტაბით ძირითადად ათვისებულია მეორე ხარისხოვანი გზებით და ზოგიერთი საერთოდ არ არის მოწესრიგებული, ასეთი გამოწვევები უნდა გადაწყდეს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს ურთერთშეთანხმებით. რადგან ის სარგებელი რომელიც უნდა მივიღოთ კულტურული მემკვიდრეობისგან გახდეს ხელმისაწვდომი. საუბარია ასევე საგადასახადო რეჟიმებზე, დარგის მაქსიმალური სტიმულირება შეიძლება მოვახდინოთ იმით რომ გარკვეული საგადასახადო დაბეგვრა და ზღვრები შეიცვალოს, რაც აუცილებლად უნდა გახდეს განხილვის თემა სახელმწიფოსთვის რადგან ეს იქნება ერთერთი მოტივაციის წყარო წარმოებისთვის რაც დასაქმების და ეკონომიკის ზრდას ნიშნავს. აქცენტირებულია კულტურის მიმართულებით განათლების როლი, განათლების და კვლევითი მიმართულებების აღდგენა ქვეყანაში უნდა დაიწყოს საუნივერსიტეტო პროგრამებში ამ თემის ინტეგრირებით.

მნიშვნელოვანია ლოკალური და რეგიონული თვითმმართველობების როლი ადგილობრივი კულტურის წარმოჩინებაში.

გიორგი პაპავა

ხშირად მიუხედავად იმისა რომ ეკონომიკაში არსებოს რეცესიები, ხშირად გარკვეული მდგრადები უფრო მდგრადია ვიდრე მთლიანად ეკონომიკა. ცალსახად არასწორია მიდგომა კულტურისა და ეკონომიკის სფეროების დაპირისპირებისა, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ სარგებელს, როგორც წესი კულტურასთან მიმართებაში საქმე გვაქვს არასწორ კალკულაციასთან და გაუთვალისწინებელი რჩება ის ფაქტი რომ კულტურას გრძელვადიანი სარგებელი მოაქვს, სწორედ ამიტომ სხვა სფეროებთან შედარებით ეს რთული პროცესია. სწორედ ამისთვის საჭიროა რომ ეკონომიკა და კულტურა ცალ-ცალკე დარგებად არ იყოს მოაზრებული.